



სინანთროპი მგლების (*Canis lupus cubanensis*) (დინამიკა)რიცხოვნობის

დინამიკა ყაზბეგის რაიონში და მასზე მოქმედი ფაქტორები

სამაგისტრო ნაშრომი

თეონა დავაძე

სპეციალობა: ეკოლოგია და კონსერვაციული ბიოლოგია

ხელმძღვანელი: პროფ. ნათია კოპალიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

## რეზიუმე

განვლილი წლების(2008–2009) ჩატარებული კვებებიდან კარგად სჩანს რომ ყაზბეგის რაიონის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა შეწუხებულნი იყვნენ ხშირად მგლების თავდასხმით მათ შინაურ ცხოველებზე(ძროხა, ცხვარი, ცხენი.) რომლებსაც სერიოზულ ზარალს აყენებდნენ მგლები.

გამოკითხვების შედეგად საკმაოდ დიდი ზარალი გამოუდიოდათ წლიდან წლამდე. 2008 წლის ზაფხულში ჩატარებული გამოკითხვის მონაცემების შესაბამისად, სტეფანწმინდის რაიონის მცხოვრებთა თითქმის სრული უმრავლესობა აცხადებს, რომ მგლების მიერ მოყენებულმა ზარალმა ბოლო 4-5 წლის განმავლობაში ბევრად იმატა, წინა წლებთან შედარებით. ხილო 2009 წლის ზამთარი წინა წლებთან შედარებით, ნაკლებად გამოირჩეოდა მგლების თავდასხმების სიხშირით. რაც შეეხება 2010 წლის ახალ მონაცემებს კიდევ უფრო ნაკლებად არის მოსახლეობა შეწუხებული მგლების მიერ თავდასხმებით.

ეს ყოველივე მიუთითებს მგლების პოპულაციის დინამიკას სხვა და სხვა დროში ასევე მათი რიცხოვნობის საგრძნობ კლებას, ამ ყოველივეს შესაძლოა ხელს უწყობდეს როგორც ეკოლოგიური ფაქტორები ისე სოციო-ეკონომიკური ფაქტორები.

ეკოლოგიური ფაქტორებიდან აღსანიშნავია ბუნებრივი მსხვერპლი სახეობების - ჩლიქოსნების სიმცირე; ადამიანის დასახლებების ძლიერი შეჭრილობა მგლის ჰაბიტატში; მგლის განსახლების პროცესისთვის ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერების ნაკლებობა; ადამიანის სიახლოვეს არსებობასთან შეგუების (ჰაბიტუაციის) მაღალი ხარისხი;

სოციო-ეკონომიკური ფაქტორებიდან ხაზგასასმელია მოსახლეობის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ტიპის ცვლილება (მაგ. მესათბურეობიდან მესაქონლეობაზე, ან მეჩაიეობიდან მესაქონლეობაზე გადასვლა):ტერიტორიაზე ნაკლებად დაცული ან დაუცველი საქონლის არსებობა, ველური მსხვერპლი სახეობების სიმცირის და მათი მოპოვების სირთულის ფონზე, მგლის მოზიდვის მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება. აღსანიშნავია, რომ იმ ტერიტორიებზე, სადაც არ შეცვლილა მეურნეობის ტიპი და მოსახლეობა იცავს მეურნეობის გაძლოის ტრადიციულ წესებს, არ ხდება მგლის საქონელზე თავდასხმების ინტენსიფიკაცია. ასევე, აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეულ (ყაზბეგის,) შემთხვევაში სოციო-

ეკონომიკური ტიპის ცვლილებას მოსდევს ლანდშაფტის ცვლილება: სოფლების მახლობლად არსებული ქაცვის ტყის აღდგენა

რაც ხელს უწყობენ მგლების სინანთროპიზაციას: ლანდშაფტის ეს „ახალი“ ელემენტები დერეფნების როლს ასრულებენ, რომლებიც აკავშირებს ტყეს და სოფელს და ამავე დროს, ადამიანისათვის შეუვალ, ხოლო მგლისათვის კარგ სამალავს ქმნიან.

## შესავალი

როგორც ჩანს, მგელის და ადამიანის სოციალური ურთიერთობა იწყება ადამიანის გაჩენიდანვე და გრძელ გზას გადის - ჯერ მგელის საკრალური აღქმიდან მგლის მოშინაურებამდე ხოლო შემდეგ - მგელთან ადამიანების დღევანდელ დამოკიდებულებამდე. ეს დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვანი არ არის. ერთის მხრივ ცხადია მგლის როლი ეკოსისტემაში, ხოლო მეორეს მხრივ, ასევე ცხადია ჩარევის აუცილებლობა, როდესაც ძლიერდება საზოგადოებების უკმაყოფილება მათ სამოსახლოსთან ახლოს მგლების გააქტიურებით.

მგელი დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და, შესაბამისად, ყველაზე ადაპტირებადი მტაცებელია. იგი გვხვდება ჩრდილოეთი ნახევარსფეროს ყველა ჰაბიტატში, -56 გრადუსიდან + 50 გრადუსამდე ტემპერატურულ დიაპაზონში. მისი რაციონი შედგება სხვადასხვა ზომის ბალახისმჭამელების ფართო სპექტრისგან. მგელი ჭამს აგრეთვე ლეშსაც, იშვიათად ხილს და კენკრას. ერთ ჭამაზე იგი 5-დან 10 კგ-მდე ხორცს ჭამს, თუმცა თვეობით შეუძლია იშიმშილოს. მგლები ხროვებად ცხოვრობენ, მაგრამ გადარჩენას მარტოხელა ინდივიდებიც ახერხებენ. მგლის ხროვები ტერიტორიალურია, თუმცა, როდესაც საჭიროა, ასეულობით კილომეტრებით შორდებიან ადგილს, სადაც ბუნაგები აქვთ და ლეკვებს ზრდიან.

მგლის პოპულაციის ძირითადი სოციალური ერთეულია - წყვილი, მგლის პოპულაციის ბუნებრივი, ყველაზე ხშირად წარმოდგენილი ერთეული მაინც ოჯახია, რომელიც ერთი წყვილისა და მათი სხვადასხვა თაობის შთამომავლობისგან შედგება. ხელსაყრელ პირობებში მყოფი ოჯახი ყოველ წელს შობს ნაშიერებს. ნაშიერები მშობლებთან 10 -54 თვე რჩებიან, შემდეგ კი დამოუკიდებლად იწყებენ ცხოვრებას.

მგელს ახასიათებს გამრავლების სხვადასხვა სტრატეგია: